

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა

ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის კუთხით, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე წინა წლების მსგავსად, ვითარება კვლავაც უცვლელია.

მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სახეზეა ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების სისტემური დარღვევა. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაშვებული არ არის საერთაშორისო უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ამ დრომდე არ ეძლევა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის უფლება.

2019 წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით მწვავედ დადგა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილების საკითხი, რაც პირდაპირ აისახება ენგურს მიღმა მცხოვრებთა ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ადგილობრივ მოსახლეობას არ აძლევს საშუალებას მოიპოვოს საარსებო წყარო: ივაჭრონ, მოინახულონ ნათესავები, მიიღონ საჭირო სამედიცინო სერვისები. ამასთან, დე-ფაქტო ხელისუფლების აღნიშნული ქმედება აშკარად დისკრიმინაციულია და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართული ეროვნების მოსახლეობას უკარგავს ღირსების გრძნობას, თავდაჯერებულობასა და ნდობას. გარდა ამისა, ყოველივე ჩამოთვლილი უარყოფითად აისახება ქუჩის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული მექანიზმია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხებისა და ჰუმანიტარული საჭიროებების თაობაზე მოლაპარაკებების საწარმოებლად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გადაადგილების შეზღუდვა განსაკუთრებით მძიმედ აისახება ბავშვებზე, რომელთაც არ ეძლევათ საშუალება თავისუფლად იარონ სკოლაში და მშობლიურ ენაზე მიიღონ სათანადო განათლება.

მოგეხსენებათ, რომ დე-ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით 2019 წლის 27 ივნისს ენგურის ხიდი დროებით ჩაიკეტა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭომ ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა. მასში აღინიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ზუგდიდში, იმართება „პროვოკაციული ხასიათის“ საპროტესტო აქციები, რის გამოც იზღუდება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლა და ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეების გადასვლა (**გადადით ბმულზე**) http://sqbra.ru/news_sqb/index.php?ELEMENT_ID=424).

ენგურის ხიდის ჩაკეტვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთ (ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები) ეზღუდებათ არა მარტო გადაადგილების, არამედ განათლების და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის უფლება. მარიონეტული რეჟიმის ეს პროვოკაციული გადაწყვეტილება მძიმედ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზეც, რადგან გალის ან სოხუმის ბაზარში, სადაც რუსეთში წარმოებული პროდუქცია სჭარბობს, სურსათის შეძენა გაცილებით მაღალ ფასად მოუწევთ. ასევე, ე.წ. საზღვრის ჩაკეტვით ისინი მოკლებული იქნებიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან ყოველდღიურ ურთიერთობას.

მართალია, მოგვიანებით რიგი შეზღუდვები მოიხსნა, მაგრამ ე.წ. საზღვრის გადაკვეთა 18-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებს მაინც ეკრძალებათ (**გადადით ბმულზე**) <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20190710/1027874773/Ogranicheniya-18-kto-Abkhazii-ne-mozhet-peresech-Gosgranitsu-Gruziiy.html?fbclid=IwAR2vSuSDiLNpqAzF3-YHTAMwpcfOqJz19cD7ozJzKiiF3IK6WACDset9tE>).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან მ/წ 27 ივნისს განხორციელებული შეზღუდვა პირველი პროვოკაციული ქმედება არ ყოფილა. 2019 წლის დასაწყისიდანვე, სახეზე იყო საოკუპაციო ძალების მიერ განხორციელებული უკანონო დაკავებები, რომლებიც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოსთან იყო კოორდინირებული.

მაგალითისთვის,

2019 წლის 25 იანვარს, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე შპიონაჟის ბრალდებით დაკავებულ იქნა 1962 წელს ტყვარჩელის რაიონში დაბადებული საქართველოს მოქალაქე უშანგი ფარულავა. ამის შესახებ, დე-ფაქტო სახელმწიფო უშიშროების საბჭო ე.წ. ოფიციალურ ვებგვერდზე იუწყება *(გადადით ბმულზე http://sgbra.ru/news_sgb/index.php?ELEMENT_ID=417)*.

განცხადებაში ვკითხულობთ, „ოპერატიული ინფორმაციის რეალიზების შედეგად დაკავებულია საქართველოს სპეცსამსახურების დავალებით მოქმედი საქართველოს მოქალაქე, რომლის კუთვნილ დამხმარე ნაგებობაში ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილია ფ-1 ტიპის ხელყუმბარა, ელექტროდენატორი და 5,45 მმ კალიბრის ტყვიები“.

უშანგი ფარულავას მიმართ, ე.წ. სახელმწიფო უშიშროების საბჭოს საგამომიებო განყოფილების მიერ, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ე.წ. სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლით (სხვა სახელმწიფოსთვის და მისი წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა) და ე.წ. სსკ-ის 217-ე მუხლით (საბრძოლო მასალების შექმნა შენახვა).

ქ. სოხუმის ე.წ. სასამართლოს მიერ უშანგი ფარულავას აღკვეთის სახით წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა.

2019 წლის 30 იანვარს, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, მამუკა კუკავა და გოჩა გულორდავა მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი საქართველოდან აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლას ცდილობდნენ.

დაწყებულია ე.წ. გამოძიება, დაკავებულებს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდათ და ისინი, ქ. სოხუმში, წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან *(გადადით ბმულზე http://sgbra.ru/news_sgb/index.php?ELEMENT_ID=419)*

2019 წლის 12 ივნისს, დე-ფაქტო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის 1983 წელს დაბადებული ბეგლარ წილოსანი არასრულწლოვან შვილთან ერთად ახალ ათონში დააკავეს. მათივე განცხადებით, მამაკაცმა არასრულწლოვან, 2015 წელს დაბადებულ ქალიშვილთან ერთად, ე.წ. საზღვარი გალის რაიონის სოფელ საბერიოსთან გადაკვეთა. ბეგლარ წილოსანი გალის წინასწარი დაკავების იზოლატორში არის გადაყვანილი. *(გადადით ბმულზე http://sgbra.ru/news_sgb/index.php?ELEMENT_ID=426)*.

გარდა ზემოაღნიშნული უკანონო დაკავებებისა, მარიონეტული რეჟიმი უკვე წლებია იყენებს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მიზეზებს თავისუფლად გადაადგილების შესაზღუდად.

მაგალითისთვის,

საქართველოში გამოვლენილი H1N1 ვირუსის გამო, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან დამაკავშირებელი ე.წ. საზღვარი დროებით ჩაიკეტა. მომხდარ ფაქტს არაღიარებული რეგიონის ომბუდსმენი ასიდა შაკრილი 2019 წლის 24 იანვარს ეხმაურება.

მისი განცხადებით, დე-ფაქტო ხელისუფლებას უნდა მოეხდინა აღნიშნული გადაწყვეტილების უბრალო ადამიანებზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმალიზება. გალის ე.წ. ადმინისტრაციას უნდა ჰქონოდა მიახლოებითი მონაცემები, თუ რამდენ ადამიანს შეეხებოდა ეს პრობლემა. *(გადადით ბმულზე http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/8340-asida-shakryl-sledovalo-vsestoronne-produmat-mery-po-minimizatsii-negativnogo-vozdjstviya-zakrytiya-granitsy-na-zhizn-prostykh-lyudej?fbclid=IwAR2GuKjWdUt1pigFCPIuGO3I9xTAIBTZYkz9A_M4oily7dxu-ULy9uWCrAY)*.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება ისიც, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ე.წ. პასპორტიზაციისა და ე.წ. სამართლებრივი სტატუსის საკითხი დღემდე ბუნდოვანი და გაურკვეველია, რაც პირდაპირ კავშირშია თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვასთან.

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების „ლეგიტიმურად“ ყოფნას უზრუნველყოფს ორი ე.წ. დოკუმენტი: პირველი, ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქის ე.წ. პასპორტი და ე.წ. ბინადრობის ნებართვა.

დღეისთვის არსებული მონაცემებით, შსს-ს საპასპორტო სამმართველოს ხელმძღვანელის ედუარდ მანარგიას ინფორმაციით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. ახალი პასპორტის მიღების თაობაზე 124 400 განცხადებაა რეგისტრირებული. გაცემულია 98 000 ე.წ. ახალი პასპორტი, 8 000 - მზადაა გასაცემად, ხოლო 11 000 განცხადება ახალი პასპორტის მიღებაზე შემოწმების პროცედურას გადის.

რაც შეეხება ე.წ. ბინადრობის ნებართვას ე.წ. შსს და მედია არ აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს, თუ რამდენი ე.წ. ბინადრობის ნებართვაა გაცემული აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება გალის რაიონს, ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ დე-ფაქტო ადმინისტრაციის უფროსის თემურ ნადარაიას მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, დღევანდელი დღისთვის ე.წ. ბინადრობის ნებართვის მიღების მოთხოვნით მათ მიმართა 5 000 მაცხოვრებელმა, რომელთაგან 1 500 მოთხოვნა უკვე დაკმაყოფილდა. 1 000 განცხადება დროებით შეჩერებულია, ხოლო დანარჩენის (დაახლოებით 2 500) შესახებ ინფორმაცია გადაგზავნილია სპეციალურ შემოწმებაზე ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოში.

რაც შეეხება გალის რაიონის იმ მაცხოვრებლების რაოდენობას, რომელთაც გააჩნიათ ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობა, თემურ ნადარაიას განმარტებით, მათი რიცხვი 400 ადამიანზე მეტს შეადგენს და სავარაუდოდ 1 000-მდე გაიზრდება.

ბინადრობის ნებართვის გაცემის თემაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხი რეგულირდება „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ აფხაზეთის რესპუბლიკის ე.წ. კანონით, რომლის მიხედვითაც არსებობს ბინადრობის გაცემის ორი საფუძველი:

1. „ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც იმყოფება ქორწინებაში აფხაზეთის მოქალაქესთან;
2. „ბინადრობის ნებართვა გაიცემა კანონიერი საფუძვლის არსებობისას მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც 1999 წლის 12 ოქტომბრიდან არანაკლებ 10 წლისა მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე...“

საინფორმაციო საშუალებებში ნაკლებად საუბრობენ იმაზე, რომ 2016 წლის მიწურულს, ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ე.წ. კანონში შეიტანა ცვლილება, რომლითაც განსხვავებულად დარეგულირდა არაღიარებული რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონის (გალის რაიონი) მოსახლეობის სამართლებრივი მდგომარეობა.

ე.წ. ცვლილება წარმოადგენს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესამე საფუძველს და ეს არის ბინადრობის ნებართვის გაცემა არა მოქალაქეობის არმქონე პირზე, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც დაბადებულია აფხაზეთის ასსრ-ს გალის რაიონში და მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრიდან არა ნაკლებ 10 წლისა.

ამდენად, როგორც გამოიკვეთა, ე.წ. ცვლილება სათანადოდ ვერ არეგულირებს არსებულ პრობლემას, არის აშკარად დისკრიმინაციული და მის საფუძველზე ე.წ. ბინადრობის ნებართვის მიღება არ შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრიდან, არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ დაბადებულნი არ არიან აფხაზეთის ასსრ-ს ქ. გალში. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ე.წ. ცვლილება მიზნად ისახავს ოკუპირებული ტერიტორიის დაცლას ქართველი მოსახლეობისგან, რადგანაც იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივები ე.წ. ბინადრობის ნებართვას აიღებენ როგორც მოქალაქეობის არმქონე პირები 3 წლის შემდეგ მათ შეეძლება შეიტანონ საბუთები აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეობის მოთხოვნით. უცხო ქვეყნის მოქალაქეებად დარეგისტრირებისას კი, ისინი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი იქნებიან. თავის დროზე ეს დისკრიმინაციული ე.წ. ცვლილებაც ამ მიზანს ემსახურებოდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს აფხაზეთის მოქალაქის ე.წ. პასპორტის მფლობელი ქართველი მოსახლეობის დევნა. მათ აიძულებენ ჩააბარონ ე.წ.

აფხაზეთის მოქალაქის პასპორტები და აიღონ ბინადრობის ნებართვა, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მობინადრე ქართველებთან საუბრისას ირკვევა, რომ ე.წ.სახელმწიფო სამსახურში დასაქმებისას მათ სთხოვენ დოკუმენტს რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქეობის არქონას. ამასთან, დე-ფაქტო ძალოვან სტრუქტურებში მათ აშანტაჟებენ და ეუბნებიან, რომ გააჩნიათ ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები. ამის დასტურია თემურ ნადარაიას ინტერვიუც. კერძოდ, თემურ ნადარაია, რომელიც გამოირჩევა ქართველი მოსახლეობისადმი გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულებით, ერთ-ერთ თავის ინტერვიუში საუბრობს იმაზე, რომ ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს გააჩნია საქართველოს მოქალაქეების მონაცემთა ბაზა,..- რაც არ წარმოადგენს სიმართლეს და უდავოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მუდმივად მოუწოდებს რუსეთს - ამ უკანასკნელმა შეწყვიტოს საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვარზე ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა, რომელიც ართულებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს,- ის მაინც აგრძელებს თავისი ოკუპაციური პოლიტიკის განხორციელებას.

18.07. 2019